საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-577

21/06/2019

ქ. თბილისი

სიღნაღის მუნიციპალიტეტში მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია სიღნაღის მუნიციპალიტეტში სოფ. ბოდბეს მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს სიღნაღის მუნიციპალიტეტში სოფ. ბოდბეს მიმდებარე ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, შპს ,,ენსისი 1701''-ის საკუთებაში რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს/კ:56.10.70.018) მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებას. წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატებია: X-565695,6842; Y-4584390,1384; საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია- 2 კილომეტრით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მოსაპოვებელი მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოცულობა შეადგენს: 100 000 m^3-ს წელიწადში; ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმე 200 მეტრია. საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და იგი წარმოდგენილია (პროგნოზული) კატეგორიით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ჰორიზონტის წყლები ძირითადად ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-კალიუმიან-მაგნიუმიანი და სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-ნატიუმიან-კალციუმიანი ტიპისაა. საერთო მინერალიზაცია 0.3-0.8 გ/ლ-მდე, სიხისტე-3-7 მგ/ექვ, pH-5-8. ბაქტერიოლოგიური და ფიზიკური შემადგენლობა ასევე სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. წყლის გამოყენება შესაძლებელია სამეწარმეო დანიშნულებით. წყლის ტემპერატურა 9.5-15 ^{0}C-ია. სალიცენზიო ობიექტები არსებულია, კერძოდ ჭაბურღილი მოწყობილია კაპიტალურად გადახურულ სივრცეში.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. წიაღითსარგებლობის ობიექტების ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.
აღნიშნული მიწისქვეშა მტკნარი წყლის ჭაბურღილი წარმოადგენს არსებულ ობიექტს, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე სხვა პოტენციური დაბინძურების წყარო არ არსებობს, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რადგანაც ტერიტორია

წარმოადგენს უკვე ათვისებულს, გამომდინარე აქედან ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ჭაბურღილის მიწისზედა ინფრასტრუქტურა მოწყობილია გადახურულ სივრცეში, შესაბამისად ნარჩენების, რაოდენობის გათვალისწინებით ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ასევე, საქმიანობის განხორციელების პროცესში ხმაურის წარმოქმნას არ ექნება ადგილი.
საპროექტო ტერიტორია არ ხვდება ტყის ფონდის, დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს. ასევე, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების საფუძველზე,</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტში სოფ. ბოდბეს მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ ,,წიაღის ეროვნული სააგენტოს“';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ ,,წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი